საქმის განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში

EMC

საქმის განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

2018

მიმოხილვა მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)" მიერ, „ღია საზოგადოების ფონდების" ფინანსური მხარდაჭერით. მიმოხილვაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია EMC.

მიმოხილვის ავტორი:
მარიამ მხატვარი

პროექტის ხელმძღვანელი:
სოფო ვერძეული

დიზაინერი:
სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)" წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 6

რა რეგულაციებს ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მიერ დამტკიცებული წესი საქმის განაწილების შესახებ 7

რა უფლებამოსილებები რჩება სასამართლოს თავმჯდომარეს 12

რა ხდება ელექტრონული სისტემის შეფერხებისას 13

როგორ მიმდინარეობდა საქმეთა განაწილება პილოტურ რეჟიმში 14

როგორ მიმდინარეობს საქმეთ განაწილება საქართველოს
საერთო სასამართლოებში 17

შეჯამება 20

შესავალი

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის შემუშავება ბოლო წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს, რომელმაც უნდა უპასუხოს არაერთ გამოწვევას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით. მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების წესი, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს საქმეთა მიუკერძოებლად განხილვას, პროცესის გარეშე ჩარევებისაგან დაცვას, ასევე, მართლმსაჯულების დროულად და ეფექტიანად განხორციელებას და მოსამართლეებს შორის შრომის სამართლიან განაწილებას.

საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა ეფუძნება სასამართლოში შესული საქმეების შემთხვევითი განაწილების პრინციპს მოსამართლეებს შორის. ეს წესი მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში შემუშავდა.

კანონპროექტის განხილვის ეტაპზე ვენეციის კომისიის მიერ დადებითად შეფასდა საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების ინიციატივა, თუმცა უნდა ითქვას, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე და შემდგომშიც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფები არ აფიქსირებდნენ ცალსახა მხარდაჭერას აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით.[1] უნდა ითქვას, რომ ამ და სხვა საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის გამო, “მესამე ტალღის” რეფორმით გათვალისწინებული რიგი პოზიტიური ცვლილებების ამოქმედება მნიშვნელოვნად გაჭიანურდა. შედეგად, საქმის განაწილების ახალი წესი თავდაპირველად დაინერგა რუსთავის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს მასშტაბით, ახალი წესით საქმეთა განაწილების წესი ამოქმედდა მხოლოდ 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა განაწილების ახალი წესი მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, საკანონმდებლო დონეზე ღიად არის დარჩენილი მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც პარლამენტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაანდო.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია პარლამენტის მიერ “მესამე ტალღის” ცვლილებებით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო, ასევე ის რეგულაციები, რომელიც ამ დრომდე მიიღო იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ეს არის “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)” პირველადი შეფასება ახალი სისტემის დანერგვის, ფუნქციონირების და გამოწვევების შესახებ. EMC აგრძელებს საქმის განაწილების წესის მუშაობის მონიტორინგს.

1 EMC, გაჭიანურებული სასამართლო რეფორმა და თანმდევი პოლიტიკური პროცესები, [ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2016/05/27/emc-64/, წვდომის თარიღი: 03.10.2017]

რა რეგულაციებს ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესი საქმის განაწილების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილებით,[2] დაამტკიცა საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი, რომლის თავდაპირველ რედაქციაში არაერთი ცვლილება შევიდა, განსაკუთრებით, ელექტრონული სისტემის ქვეყნის სრული მასშტაბით ამოქმედების შემდეგ.[3]

ზოგადი წესის მიხედვით, მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიხედვით. თუმცა, წესში 2017 წლის 18 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, მოსამართლეთა სპეციალიზაციის მოთხოვნა არ ვრცელდება მორიგეობის დროს გასანაწილებელ საქმეებზე.[4] საყურადღებოა, რომ მორიგეობის არსებული წესი გამორიცხავს საქმეთა შემთხვევით განაწილებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის ერთი მორიგე მოსამართლეა.[5]

საგამონაკლისო შემთხვევები: თავდაპირველი რედაქციით და შემდგომ განხორციელებული ცვლილებებით საბჭომ განსაზღვრა საგამონაკლისო შემთხვევების ფართო ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპი. მაგალითად, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება საქმეები, როდესაც:

- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე წარდგენილია საჩივარი;
- გადაწყვეტილებაში უსწორობათა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომების შესახებ წარდგენილია შესაბამისი განცხადება;

2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56.

3 წესში ცვლილებები შედიოდა, იანვრის და თებერვლის თვის საბჭოს ყველა სხდომაზე.

4 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf

5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხ. 3.

- ერთსა და იმავე მოსამართლეზე ნაწილდება ერთ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე საგამოძიებო, საპროცესო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ან რამდენიმე ბრალდებულის მიმართ წარდგენილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობები;

- მიმალვის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების საკითხს, მისი დაპატიმრების შემთხვევაში, განიხილავს ის მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და სხვ.[6]

საქმეების კოლეგიური განხილვა: იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სასამართლო კოლეგიებში დადგენილია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეები ნაწილდება შესაბამისი კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.[7] ხოლო იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც არ არის შექმნილი სასამართლო კოლეგიები, საქმეები ნაწილდება შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.[8]

პრობლემურია რეგულაცია, რომლის თანახმადაც, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას, სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას. ასეთ დროს, საბჭოს დამტკიცებული წესის თანახმად უზრუნველყოფილია კოლეგიაში საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობა.[9] აღნიშნული ჩანაწერი 2017 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია. თავდაპირველი რედაქციით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას ელექტრონულ სისტემას უნდა უზრუნველყო საჭირო რაოდენობის ყველა მოსამართლის შერჩევა.[10]

არაერთხელ შეიცვალა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განაწილების წესი. თავდაპირველი რედაქციით კოლეგიურად განსახილველი საქმე უნდა განაწილებულიყო სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე, ხოლო ელექტრონულ სისტემას დამატებით უნდა უზრუნველყო შესაბამისი კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევა.[11] 2017 წლის 24 ივლისის ცვლილებებით, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის კოლეგიურად განხილვისას, საქმე ნაწილდებოდა სხდომის თავმჯდომა-

6 იქვე, მუხლი 3.

7 იქვე.

8 იქვე.

9 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/243, მუხლი 4.

10 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

11 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

რეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე და ამ მოსამართლის შესაბამის კოლეგიაზე.[12] 2017 წლის 18 დეკემბერს კიდევ ერთხელ შეიცვალა ეს დანაწესი და დღეს, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.[13] იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი მითითება არ კეთდება კოლეგიის სხვა წევრების შერჩევის წესზე, გაუგებარია, თამჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლე თავისი კოლეგიური შემადგენლობით განიხილავს მისთვის დაწერილ საქმეს, თუ შესაძლებელია ახალი კოლეგიური შემადგენლობის ფორმირება თავმჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლის მონაწილეობით. თუ ეს შესაძლებლობა არსებობს, მაშინ ასევე ბუნდოვანია ვისი უფლებამოსილებაა ასეთი კოლეგიური შემადგენლობის ფორმირება. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმეთა განხილვას, ამ შემთხვევაში ელექტრონული სისტემა, საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით, დამატებით უზრუნველყოფს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეების შერჩევას.[14]

თანაბარი განაწილება: ე.წ. „მესამე ტალღის“ ცვლილებებით, საკანონმდებლო დონეზე არ განისაზღვრა მოსამართლეთა შორის საქმეთა თანაბარი განაწილების პრინციპი, თუმცა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, ელექტრონულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილება, მაგრამ მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. ელექტრონული სისტემა აფიქსირებს განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ პარამეტრის ლოგირებას. შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.[15] პრობლემურია, რომ წესი არ ითვალისწინებს საქმის წონის[16] დადგენის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს და საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს აფუძნებს.

საყურადღებოა ასევე, 2017 წლის 18 დეკემბერის ცვლილებების ის ნაწილი, რომლითაც შემცირდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავჯდომარის (სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს), უზენაესი, სააპელაციო და თბილისის საქალაქო

12 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/243-2017.pdf

13 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf

14 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

15 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5.

16 მეთოდოლოგია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების ეროვნული ცენტრი იყენებს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოსაანგარიშებლად არის სამოსამართლო დროის საშუალო ოდენობის გამოთვლა საქმეთა ტიპების მიხედვით. იმის გამო, რომ საქმეები განსხვავდება სირთულის მიხედვით, საქმის განხილვისთვის საჭირო საშუალო დრო, რასაც საქმის წონა ეწოდება, ასევე განსხვავებულია.

სასამართლოს თავმჯდომარეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი.[17] თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, 2018 წლის 12 თებერვალს, საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ მიუხედავად წესით განსაზღვრული დატვირთულობის შეღავათიანი პროცენტული მაჩვენებლისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები (მათ შორის თავმჯდომარე) 50 და 100 პროცენტიანი დატვირთვით განიხილავენ საქმეებს.

2018 წლის 26 თებერვალს კიდევ ერთხელ შეიცვალა აღნიშნული დანაწესი და ამ ჩამონათვალიდან საბჭოს გადაწყეტილებით, ამოღებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისთვის განსაზღვრული საქმეთა განაწილების შეღავათიანი პროცენტული მაჩვენებლი. დღეს მოქმედი რედაქციით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე, სააპელაციო სასამართლოს თავმდჯომარეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია საქმეები განაწილდეს, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.[18]

მოქმედი წესის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლენების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების, ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების) შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა) წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა,[19] მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად, საქმეთა განაწილების მაჩვენებელი იზრდება 100 პროცენტით.

ამ დებულებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქმეთა რაოდენობის გათანაბრების მიზნებისათვის ახალ დანიშნულ მოსამართლეს, სხვა მოსამართლეებთან შედარებით, ორჯერ უფრო მეტი საქმე ეწერება. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არაერთხელ განიხილა აღნიშნული დებულების ცვლილების საკითხი. საბჭოს მოსამართლე წევრების მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული იყო, ელექტრონული პროგრამის ამოქმედებამდე, უკვე წარმოებაში არსებული საქმეების განაწილება ახალდანიშნული მოსამართლეებისათვის. ასევე, 2018 წლის 19 თებერვლის სხდომაზე, განიხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინადადება, არსებული საქმეების საშუალო რაოდენობიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმდჯომარეს (ან შესაბამის უფლებამოსილ პირს) მი-

17 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf

18 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5.

19 იგულისხმება მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა.

ნიჭებოდა უფლებამოსილება ახალდანიშნული მოსამართლეთათვის დატვირთულობის 50 პროცენტიანი ბიჯებით გაზრდის თაობაზე. ხანგრძლივი დისკუსიის მიუხედავად, არამოსამართლე წევრების ინიციატივით საკითხის განხილვა საბჭომ გადადო.

მოსამართლისათვის საქმეების განაწილების შეჩერება: ცვლილებები განხორციელდა წესის იმ დებულებაში, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლისათვის საქმეების დაწერის შეჩერების შემთხვევებს. თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობა, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 3 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატებოდა 72 საათს. ამ დანაწესს დაემატა საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.[20] თუ რა იგულისხმება განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებაში ამას წესი არ განმარტავს.

2018 წლის 26 თებერვალს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა აღნიშნულ დებულებაში, რის საფუძველზეც 3 დღე 5 დღით ჩანაცვლდა. განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებაზე მითითება დაემატა კიდევ ერთ დებულებას, რომლის თანახმადაც, ამგვარი გარემოების არსებობისას მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეზე საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად თუ ირღვევა ამ მოქმედების შესასრულებლად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან შუამდგომლობის განსახილველად, თუ შუამდგომლობის განუხილველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, საქმე დროებით გადაეცემა სხვა მოსამართლეს,[21] თუმცა წესი არ განსაზღვრავს, ვინ უნდა დაადგინოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებისა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა წინაპირობების არსებობა.

20 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf
21 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/64-2018.pdf

რა უფლებამოსილებები რჩება სასამართლოს თავმჯდომარეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ხედავს მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობას.[22] ამასთან, 2018 წლის 8 იანვარს საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულ ცვლილებებამდე, ელექტრონული სისტემის შეფერხებისას რიგითობის წესით საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ანაწილებდა.[23]

2018 წლის 8 იანვარს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, საბჭოს ერთ-ერთი მოსამართლე წევრის მიერ, სამოქალაქო სექტორის კრიტიკის საპასუხოდ, გაჟღერდა ინიციატივა, ელექტრონული სისტემის შეფერხებისას, საქმეთა რიგითობის წესით განაწილების უფლებამოსილების კანცელარიის თანამშრომლისთვის გადაცემის თაობაზე. რიგითობის წესით საქმეთა განაწილება ხარვეზიანია, რადგან ვერ უზრუნველყოფს პროცესის მანიპულირებისა და ხელოვნური ჩარევისაგან ეფექტიან დაცვას, რაც მნიშვნელოვნად არღვევს მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიას. ამ ხარვეზიან პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ავტომატური ჩანაცვლება კანცელარიის თანამშრომლით რა თქმა უნდა ვერ აზღვევს მთავარ პრობლემას და შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო ზრდის საქმეთა რიგითობის წესით განაწილების პროცესით მანიპულირების, შიდა და გარე ჩარევების, რისკებს.

2018 წლის 8 იანვარს განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სასამართლოს თავმჯდომარეს კვლავაც რჩება პრობლემური და ბუნდოვანი უფლებამოსილებები.

საყურადღებოა, რომ შესაბამისი სასამართლოს თავმდჯომარე მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, უფლებამოსილია წესის თანახმად განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი 25%-იანი ბიჯით გაუზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმდჯომარეს და სხვ. ასევე, თავმდჯომარე უფლებამოსილია მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, შეამციროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი არაუმეტეს 50%-იანი ბიჯი.[24]

22 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6.

23 იხ. საბჭოს გადაწყვეტილება : http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf

24 იქვე, მუხლი 5.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით.[25]

საქმის განაწილების ახალ მოდელში, განსაკუთრებით საყურადღებო და პრობლემურია თავმჯდომარის უფლებამოსილება ვიწრო სპეციალიზაციებში (თემატურ/საპროცესო ეტაპების მიხედვით შექმნილ ჯგუფებში) განსაზღვროს მოსამართლეთა შემადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ ვიწრო თემატური/საპროცესო სპეციალიზაციის შექმნა საბჭოს მიერ არის დადგენილი, თავად ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით, მოსამართლეთა შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ერთპიროვნულად განისაზღვრება,[26] რაც მის მიერ საქმეთა განაწილების პროცესზე გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს. პროგრამა საქმეს ანაწილებს ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებს შორის, თუმცა ვინ იქნება კონკრეტულ სპეციალიზაციაში, ეს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის გადასაწყვეტია. ამ პრობლემას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ვიწრო ჯგუფებში მოსამართლეთა განაწილების ფორმალურ პროცედურას და ეტაპებს კანონი არ იცნობს. შესაბამისად, თავჯდომარის ეს უფლებამოსილება რჩება საქმის განაწილების ახალი წესის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

რა ხდება ელექტრონული სისტემის შეფერხებისას

ზოგადი წესის თანახმად, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი თანამშრომელი საქმეებს რიგითობით ანაწილებს იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს. საქმეთა განაწილების წესი ასევე ითვალისწინებს დამატებით საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც შესაბამის უფლებამოსილ პირს შეუძლია საქმე გაანაწილოს რიგითობის წესით. კერძოდ, დაუყონებლივ განსახილველ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს, ასევე იმ საქმეების, რომელთა განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია, კანცელარიის უფლებამოსილი პირი რიგითობის წესით[27] ანაწილებს იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 3 საათს.[28]

პრობლემური და ბუნდოვანია საქმეთა განაწილების წესის გარდამავალი დებულებების ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით,

25 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

26 მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 8 აპრილის ბრძანება, [ხელმისაწვდომია: https://goo.gl/1gnTJy, წვდომის თარიღი: 06.10. 2017]

27 მით. საქმეების განაწილებას მათი შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით.

28 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6.

კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია გაანაწილოს საქმეები რიგითობის წესის დაცვით.[29]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ ატყობინებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტს და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.[30]

დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას, კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია მის მიერ ამ პერიოდში რიგითობის წესით განაწილებული საქმეების შესახებ.[31]

საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით განსაზღვრული არ არის აქტისა თუ მოხსენებითი ბარათის შედგენის კონკრეტული ვადები და შინაარსი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირების შემდეგ, კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“.

როგორ მიმდინარეობდა საქმეთა განაწილება პილოტურ რეჟიმში

საქართველოს მასშტაბით, საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, განაწილების წესის სრულად ამოქმედების თარიღად კანონით განისაზღვრა 2017 წლის 31 დეკემბერი. თუმცა, ქვეყნის მთელი მასშტაბით ამოქმედებამდე, 2017 წლის პირველი ივლისიდან, საქმეთა განაწილების ახალი წესი პილოტურ რეჟიმში დაინერგა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.[32]

29 იქვე, მუხლი 8.

30 იქვე, მუხლი 6.

31 იქვე.

32 საქმეთა განაწილების ახალი წესის მუშაობის შეფასების მიზნით “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)” საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოდან და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან

რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის პირველი ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილდა 2,608 საქმე



რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ელექტრონული პროგრამის გარაშე განაწილდა 17 საქმე



რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, ელექტრონული პროგრამის გარეშე საქმეთა განაწილების საფუძველს ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა ელექტრონული პროგრამის შეფერხება:

ა) 2017 წლის 5 აგვისტოს (შაბათი დღე) ელექტრონული პროგრამის შეფერხების ვადა აღემატებოდა სამ საათს, რის გამოც, ელექტრონული პროგრამის გარეშე, შესაბამის სპეციალიზაციაში მორიგე მხოლოდ ერთ მოსამართლეზე განაწილდა:

- ერთი შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე;
- ერთი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- ორი შუამდგომლობა ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ;
- ერთი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების დადასტურების თაობაზე;

ბ) 2017 წლის 8 სექტემბერს წარმოშობილი შეფერხების გამო, რომლის ხანგრძლივობაც აღემატებოდა ორ დღეს, 2017 წლის 11 სექტემბერს, მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით განაწილდა ორი არსებითად განსახილველი სისხლის სამართლის საქმე.

გ) 2017 წლის 23 სექტემბერს (შაბათი დღე), ელექტრონული შეფერხების ვადა აღემატებოდა სამ საათს, შესაბამისად, ელექტრონული პროგრამის გარეშე, შესაბამის სპეციალიზაციაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მორიგე მხოლოდ ერთ მოსამართლეზე განაწილდა:

- ხუთი შუამდგომლობა ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ;
- ორი შუამდგომლობა ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ;

ამავე დღეს, იმავე საფუძვლით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში, მორიგე მაგისტრატ მოსამართლეზე განაწილდა ერთი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

დ) 2017 წლის 10 ოქტომბერს, ელექტრონული სისტემის შეფერხების ვადა აღემატებოდა სამ საათს, შესაბამისად, მოსამართლეთა რიგითობის წესით განაწილდა:

- ერთი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე;
- ერთი შუამდგომლობა ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

23-24 ნოემბერს, ერთ-ერთი მოსამართლის გამოუცხადებლობის გამო, ოთხი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, პროგრამულად განაწილდა სხვა მოსამართლეზე. 26 ნოემბერს კი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო ორი შუამდგომლობა ამოღების კანონიერად ცნობის თაობაზე პროგრამულად განაწილდა სხვა მოსამართლეზე.

EMC-ის მიერ საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის პილოტურ რეჟიმში მუშაობის პირველადი შეფასებისას,[33] დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო დროებითი შეფერხებების აღმოფხვრის შემდგომ, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათების ასლები. პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ პირველ ეტაპაზე ამ პრობლემის გამოვლენის შემდეგ, ხელახალი მოთხოვნის საფუძველზე, EMC-ს მიეწოდა მოხსენებითი ბარათების ასლები, დაშტრიხული სახით.

33 იხ. EMC-ის პირველადი შეფასება: https://emc.org.ge/2017/10/09/emc-363/.

როგორ მიმდინარეობს საქმეთ განაწილება საქართველოს საერთო სასამართლოებში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, 2017 წლის 31 დეკემბრიდან, საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა ამოქმედდა ყველა სასამართლოში, გამონაკლისის გარეშე. თუმცა, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით,[34] აღნიშნულ სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა. ამასთან, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ასევე არ ნაწილდება 13[35] მუნიციპალიტეტში. საბჭოს ინფორმაციით, შესაბამის მუნიციპალიტეტებში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ ერთი მოსამართლე.[36]

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 18 იანვრის ჩათვლით, საერთო სასამართლოებში (უზენაესი სასამართლოს ჩათვლით) ელექტრონული სისტემით განაწილდა ჯამში 25215 საქმე, თუმცა 31 დეკემბრიდან იანვრის თვის ჩათვლით შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილდა მხოლოდ 15451 საქმე.[37]

რაც შეეხება ამავე პერიოდში დაფიქსირებულ შეფერხებებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, დაფიქსირდა 2 შეფერხება, რის შედეგადაც რიგითობის წესით განაწილდა 24 საქმე:

ა) თელავის რაიონულ სასამართლოში დაფიქსირებული შეფერხების შედეგად, რიგითობის წესით განაწილდა 16 საქმე:

- ორი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ;
- ორი სისხლის სამართლის საქმე (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე);
- ორი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე;
- სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე;
- ცხრა შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან გამომდინარე, შეფერხება გრძელდებოდა 12 იანვარს 10:15 საათიდან 17:25 საათამდე. საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, შეფერხებისას, რომელიც არ აღემატება 2 დღეს, მაგრამ აღემატება სამ საათს რიგითობის წესით ნაწილდება დაუყონებლივ განსახილველი ადმინისტ-

34 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

35 ქობულეთი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი, ახალგორი, ქარელი, ლაგოდეხი, ყვარელი, ნინოწმინდა და ქედა.

36 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

37 იქვე.

რაციული სამართალდარღვევის საქმეები, ასევე ის საქმეები, რომელთა განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია. პრობლემურია, რომ მოხსენებით ბარათში მითითებული რიგითობის წესით განაწილებული საქმეების ჩამონათვალში გვხვდება ისეთი საქმეებიც, რომელთა განხილვის ვადა არ არის 24,48 ან 72 საათი, მაგალითად, ორი სისხლის სამართლის საქმე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. ასევე გაუგებარია რა ტიპის საქმე იგულისხმება სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეში და იყო თუ არა ის შემჭიდროვებულ ვადებში გასახილველი.

ბ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათიდან გამომდინარე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შედეგად, ელექტრონული პროგრამის გარეშე განაწილდა:

- 3 სარჩელი უზრუნველყოფით;
- სამართალდარღვევის ოქმები;
- აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების შესახებ;
- აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა გირაოს შეფარდების შესახებ;
- საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობა;
- ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობები;
- სისხლის სამართლის საქმე.

EMC-თვის მიწოდებული მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან არ იკვეთება პროგრამის გარეშე განაწილებული საქმეების ზუსტი ოდენობა. თუმცა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან კომუნიკაციის შედეგად დაზუსტდა, რომ ჯამში აღნიშნული შეფერხებისას პროგრამის გარეშე განაწილდა 17 საქმე. პრობლემურია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არასწორად აქვს დათვლილი, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის იანვრის ჩათვლით, ელექტრონული პროგრამის გარეშე განაწილებული საქმეები, დაზუსტებული მონაცემების მიხედვით საქმეების რაოდენობა შეადგენს არა 24-ს, არამედ 33-ს.

საყურადღებოა ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული პროგრამის გარეშე განაწილება. კერძოდ, მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან ჩანს, რომ წინასასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, 23 იანვრისთვის, არც პროგრამულად და არც მატერიალურად, კანცელარიისათვის საქმე არსებითად განსახილველი მოსამართლისათვის გადასანაწილებლად დაბრუნებული არ იყო, ხოლო არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნული იყო 24 იანვრისთვის. კანცელარიის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად რიგითობის წესით გაანაწილა. ვინაიდან ქუთაისის სასამართლოში შეფერხების ხანგრძლივობა 3 დღეზე ნაკლები იყო, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის რიგითობის წესით განაწილებისათვის.[38]

38 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შეფერხებების აღმოფხვრის შემდგომ მომზადებული მოხსენებითი ბარათების ასლებიდან გამომდინარე ნათელია, რომ განხვავებით რუსთავის საქალაქო სასამართლოსგან, თბილისსა და ქუთაისში დაფიქსირებული შეფერხებებისას, ელექტრონული პროგრამის გარეშე განაწილებული საქმეების დათვლისას, რაოდენობრივად არ იმიჯნება რიგითობისა და მორიგეობის წესით თანახმად განაწილებული საქმეები. რაც შეეხება თითოეული მოსამართლისთვის ელექტრონული პროგრამის ამოქმედებიდან განაწილებული საქმეების ოდენობას, EMC-მ სტატისტიკური მონაცემები გამოითხოვა დიდი სასამართლოებიდან. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია რუსთავისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 31 იანვრის ჩათვლით, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილებული საქმეები[39]



რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის პირველი ივლისიდან 31 იანვრის ჩათვლით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებული საქმეები[40]



39 სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია: ლერი თედორაძე, თეიმურაზ დგვარელი, თათია გოგოლაური მურთაზ კაპანაძე; სამოქალაქო საქმეთა კოლეგია: დარინა აბულაძე, გოჩა დიდავა, ციცინო კიკვაძე, მანანა ნიკაჯაძე, ციცინო მოსიძე, მალხაზ ჩუბინიძე. ლელა მილდენბეერგერი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა, მას ელექტორნული პროგრამით განაწილებული საქმეების გარდა დაეწერა გენადი მაკარიძის წარმოებაში არსებული 462 საქმე. გენადი მაკარიძეს 2018 წლის 18 იანვარს შეუწყდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

40 სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია: ლერი თედორაძე, თეიმურაზ დგვარელი, თათია გოგოლაური მურთაზ კაპანაძე; სამოქალაქო საქმეთა კოლეგია: დარინა აბულაძე, გოჩა დიდავა, ციცინო კიკვაძე, მანანა ნიკაჯაძე, ციცინო მოსიძე, მალხაზ ჩუბინიძე. ლელა მილდენბეერგერი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა, მას ელექტორნული პროგრამით განაწილებული საქმეების გარდა დაეწერა გენადი მაკარიძის წარმოებაში არსებული 462 საქმე. გენადი მაკარიძეს 2018 წლის 18 იანვარს შეუწყდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

შეჯამება

ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ტექსტში უნდა გაწერილიყო ელექტრონული სისტემის ფუქნციონირების დეტალური წესები, ასევე ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების დროს მოქმედი პრინციპები.[41] საკითხის მეტი კონკრეტიკა კანონის დონეზე ასევე წარმოადგენდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციას. ამ რეკომენდაციის ძირითადი მოტივაცია მდგომარეობდა იმაში, რომ მნიშვნელოვანი რეფორმის რეალური შინაარსი და მასშტაბები კანონმდებელს განესაზღვრა და საბჭოს და ინდივიდუალური სასამართლოების თავმჯდომარეების კომპეტენციაში გადასულიყო მხოლოდ იმ საკითხების მოწესრიგება, რაც ყოველდღიურ პრაქტიკაში რეფორმის განხორციელებისთვის იყო საჭირო. სამწუხაროდ, კანონმდებელმა თავი აარიდა საკითხების დეტალურად, ნათლად და მკაფიოდ მოწესრიგებას და საკანონმდებლო დონეზე მხოლოდ ზოგადი პრინციპი ასახა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების დარეგულირება კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაანდო.

საქმეთა განაწილების პროგრამის ყველა სასამართლოში ამოქმედების დღიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველ მომდევნო სხდომაზე, წესში ცვლილებების ფრაგმენტული შეტანა, აჩვენებს, რომ ამოქმედებიდან ორი თვის თავზეც არა აქვს საბჭოს ერთიანი ხედვა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ახალი პროგრამა და რა სისტემური ნაბიჯები უნდა გადაიდგას მისი გაუმჯობესებისთვის.

პარლამენტის, საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების შესახებ ამ დრომდე მიღებული აქტების, ასევე წესის პილოტურ რეჟიმში მუშაობაზე და ქვეყნის სრული მასშტაბით ახალი პროგრამის ამოქმედებაზე დაკვირვების გათვალისწინებით, ნათელია, რომ აუცილებელია გაგრძელდეს წესის დახვეწის მიზნით სისტემური მუშაობა. ამ ეტაპისთვის, ანალიზმა გამოავლინა, რომ საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს:

- მოსამართლეთა სიმცირე, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც გამორიცხავს შემთხვევითობის პრინციპით საქმეთა განაწილებას ყველა სასამართლოში;

- მოსამართლეთა მორიგეობის წესი, რაც სპეციალიზაციის და შემთხვევითობის დაუცველად, საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის გადაცემის შესაძლებლობას უშვებს;

41 ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) და ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, §71.

- კანცელარიის თანამშრომლების მიერ საქმეთა რიგითობით განაწილების ხარვეზიანი წესი;

- ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების წესში, არასისტემური და ფრაგმენტული ცვლილებების განხორციელება და საგამონაკლისო შემთხვევების გაზრდა;

- პროგრამის შეფერხებისას მოქმედი მნიშვნელოვანი წესების რეგულირება კანონქვემდებარე აქტების დონეზე;

- განსაკუთრებით პრობლემურია, თავმჯდომარისთვის შენარჩუნებული ფუნქცია, მოსამართლეები საკუთარი შეხედულებით გაანაწილოს ვიწრო სპეციალიზაციებში;

- მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა გადატვირთულობა სასამართლო სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს, დღეს მოქმედი საქმეთა განაწილების ახალი წესი, საქმეთა თანაბრად განაწილების უზრუნველსაყოფად, საქმის წონის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს არ მოიცავს.